

ირლანდია

- სახმელეთო ამანათის საქართველოში გამოსაგზავნად მიღება ხორციელდება ირლანდიის ქალაქ **დუბლინში** არსებულ შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის ოფისში.
- ირლანდიიდან საქართველოს მიმართულებით სახმელეთო ამანათის **გაგზავნის ღირებულება** დგინდება აგენტის მიერ.
- სახმელეთო ამანათის ირლანდიიდან საქართველოს მიმართულებით გაგზავნა ხორციელდება **პარასკევ დღეს**.
- სახმელეთო ამანათის საქართველოში ტრანსპორტირების ვადაა გამოგზავნიდან **არაუმეტეს 13-19 კალენდარული დღე**.
- გამგზავნის უფლება არ აქვს სახმელეთო ამანათით გააგზავნოს ის ნივთები და საქონელი, რომელთა გაგზავნაც **აკრძალულია** როგორც გამგზავნი, ისე ტრანზიტული და საქართველოს კანონმდებლობით. სახმელეთო ამანათით ასევე იკრძალება მსხვრევადი ნივთების (მათ შორის ტელევიზორი; ჭურჭელი და სხვა) გაგზავნა;
- გზავნილის **სათანადოდ შეფუთვაზე** პასუხისმგებელია გამგზავნი. გზავნილი უნდა შეიფუტოს იმგვარად, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს, აგრეთვე ასეთმა შეფუთვამ არ უნდა დააზიანოს სხვა გზავნილები ტრანსპორტირების დროს და არ უნდა შეუქმნას პრობლემები პირებს, რომლებიც განახორციელებენ გზავნილების შემდგომ დამუშავებას, ტრანსპორტირებას თუ დასაწყობებას.
- სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება გზავნილზე დატანილი ადრესატის მისამართის/ინდექსის მომსახურე სერვისცენტრებსა და კონტრაქტორ ოფისებში.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს, შეცვალოს ამანათის ჩაბარების ადგილი და ის გააგზავნოს იმავე რეგიონის/რაიონის/უბნის ფარგლებში არსებულ სხვა სერვისცენტრსა თუ კონტრაქტორ ოფისში.

- **ირლანდიაში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის მისამართი და სამუშაო საათები:**

ქალაქი	გაცემის პუნქტი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები
დუბლინი/Dublin	Glencullen House.Kylemore Road.Dublin 10.D10 K729	+353 83 193 33 55 +353 89 954 4636 (viber, WhatsApp)	ორშაბათი-პარასკევი 09:00 - 18:00; შაბათი -კვირა 10:00-18:00